

SCHOMBURG GmbH & Co. KG
Aquafinstrasse 2-8
D-32760 Detmold (Germany)
phone +49-5231-953-00
fax +49-5231-953-108
email export@schomburg.de
www.schomburg.com



ტექნიკური მონაცემები

AQUAFIN®-CJ6

Art.-No. 2 07222

თერმოპლასტიკური ლენტი კონსტრუქციული ცივი ნაკერების წყალგაუმტარობისთვის

გამოსაყენებლად მარტივი

- სწრაფი და ძლიერი გაფართოების ფუნქციით
- თვით-შეკუმშვის ფუნქციის ხერხების და ბზარების ამოსაყვებად
- სრულიად სტაბილური მაღალ ტემპერატურებზეც კი
- შეუძლია დაუსრულებლად გაფართოება, თუმცა ეს პროცესი შექცევადია
- შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც მტკნარი, ისე ზღვის, მარილიანი წყლის შემთხვევაშიც



გამოყენების არეალი:

AQUAFIN-CJ6 გამოიყენება ბეტონის ცივი ნაკერის წყალგაუმტარობისათვის, როცა ადგილი აქვს მუდმივ და შენაცვლებით კონტაქტს დაგუბებულ, გამდინარე ან ზედაპირის წყალთან „სამშენებლოს რეგულაციების სია, ნაწილი 2, სერიული რიცხვი 2.53“ ის მიხედვით.

AQUAFIN-CJ6 ასევე ვარგისია სანაპირო ზონებისთვის.

AQUAFIN-CJ6 ასევე აკმაყოფილებს წყლისგან დაცვის სტანდარტის 1-ლ და მე-2 დონეს გერმანული ბეტონის წყალგაუმტარობის უწყებების კომისიის მიერ (*1).

სუბსტრატის მომზადება:

ბეტონის შრე რომელზეც AQUAFIN-CJ6 უნდა გამოიყენოთ (სუბსტრატი) უნდა იყოს სიმძიმეზე გათვლილი, სწორი და დახურული ზედაპირი. ასევე უნდა იყოს ქვიშის ჯიბეების, ღრმულების, ფართო ბზრების, მტვრის გარეშე და ზედაპირის უნდა მომორდეს წებოვანი მასალები.

სასურველია ზედაპირის მოხეხვა, რათა ბეტონი გასწორდეს სათანადოდ. AQUAFIN-CJ6 გამოყენებამდე სუბსტრატი აუცილებლად უნდა იყოს ტენიანი, თუმცა არ შეიძლება ზედაპირზე იყოს წყლის გუბებები.

ნაწარმის გამოყენება:

მხარე რომელსაც უწევს წყალთან კონტაქტი აუცილებლად უნდა იყოს მინ. 8 სმ სისქის ბეტონით დაფარული. AQUAFIN-CJ6 ის გამოყენებისთვის აუცილებელია სპეციალური წებოვანი სილიკონი ასევე შესაძლებელია დავამაგროთ დუბლებით ყოველ 10სმ-ში. სილიკონით ლენტის ზედაპირს სრულად დაფარვის შემდეგ, AQUAFIN-CJ6 უნდა დაიპრესოს ბეტონის ზედაპირზე. ამის შემდეგ არ დაახსათ ბეტონი მინ. 8 საათის განმავლობაში.

გადაბმის წერტილები შეიძლება გადაიბას 50 მმ-ის გადაცილებით ან ბოლოების ერთმანეთში ჩასმით. წყალდამჭერებს შორის არ შეიძლება დარჩეს სიცარიელე. ერთმანეთში ჩასმული გადაბმის წერტილები კი უნდა დაიფაროს დამატებითი წყალდამჭერით რომელიც ორივე სექციას დაფარავს მინ. 30 მმ-ით.

ტექნიკური მონაცემები:

ბაზა: TPE (თერმოპლასტიკური ლენტი)
ფორმატი: წყალდამჭერის პროფილს აქვს კვადრატის ფორმა + არის დრეკადი
ფერი: წითელი
სიმკვრივე: დაახლ. 1.25 გ/მ³
სისქე: 5 მმ
სიგანე: 20 მმ

გაფართოებას იწყებს წყალთან კონტაქტიდან: დაახლ. 6 საათის შემდეგ

ფართოვდება: დაახლ. 50% ით 2 საათში
დაახლ. 460% ით 24 საათში
850% - ზე მეტით 8 დღეში

ექსპანსიური წნევა: დაახლ. 1.06 N/მმ²
წყალგაუმტარობა
დაყენების შემდეგ: სახსრის სისქე 0.25 მმ: 2 ერთეული

სახსრის სისქე 1.00 მმ: 1.5 ერთეული
ტოქსიურობა: არატოქსიური

რეაქცია ცეცხლთან: E კატეგორია DIN EN 13501-1
შეფუთვა: 40 გრძივი მეტრის სიგრძის გრაგნილი = 200 გრძივი მეტრი/მუყაო

შენახვის ვადა: 2 წელი მშრალ, ყინვისგან და ცუდი ამინდისგან დაცულ ადგილზე

AQUAFIN®-CJ6

რჩევა:

- ლენტი უნდა შეინახოს მშრალ ადგილზე.
- ლენტი უნდა იდოს ბეტონის სწორ და უძრავ ზედაპირზე. ლენტის ქვეშ არ უნდა იყოს არანაირი მინარევი ან დამაბინძურებელი მასალა
- ცემენტის დასხმამდე ლენტი დაიცავით ნესტისგან
- დაბეტონების დაწყებამდე ვიზუალურად შეამოწმეთ ლენტი. ნორმაზე მეტად გაბერილი ლენტის გამოყენება არ შეიძლება
- ლენტის გამოყენება არ შეიძლება მოძრავი სახსრებისთვის
- მიყევით უახლეს ინსტრუქციებს და გაეცანით შესაბამისი გამოყენებული პროდუქტების მონაცემთა ფურცლებს. მათ შორის რეკომენდირებულია „წყალგაუმტარი ბეტონის შენობების“ მონაცემთა ფურცელი, გერმანული ბეტონის კომისიის (DafStb) მონაცემთა ფურცელი და ბეტონისა და სამშენებლო ტექნოლოგიების გერმანიის ასოციაციის მითითებები.